



მცხეთა - მთიანეთის
საინფორმაციო
ცენტრი



19.07.2013 12:45

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
 - [პოლიტიკა](#)
 - [საზოგადოება](#)
 - [ადამიანის უფლებები](#)
 - [განათლება](#)
 - [ეკოლოგია](#)
 - [კულტურა](#)
 - [ეკონომიკა](#)
 - [ტექნოლოგიები](#)
 - [სპორტი](#)
- [სტატიები](#)
- [მულტიმედია](#)
- [კონფლიქტის ზონა](#)
- [მედია](#)
- [ვაკანსია](#)
- [არქივი](#)
- [კონტაქტი](#)

[მთავარი](#) » [სტატიები](#) » ბროლისწყალზე ჰესის მშენებლობა ისევ მოითხოვს

ბროლისწყალზე ჰესის მშენებლობა ისევ მოითხოვს

2013.07.18 | 19:30 ნათია დანელიშვილი

Like 33

0

Tweet 0



შპს „ყაზბეგი ჰესმა“ ხდის ხეობაში, მდინარე ბროლისწყალზე ჰესის მშენებლობისათვის აუცილებელი ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის გასაცემად, გარემო დაცვის სამინისტროს ისევ მიმართა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ახალი ანგარიშის განხილვა 29 აგვისტოს არის დაგეგმილი. გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ განცხადებით, განხილვა 29 აგვისტოს სპეციალურად ჩანიშნეს, რადგან მოხვევებმა მასში მონაწილეობა ვერ მიიღონ. მარიამობის მომდევნო დღეს ყაზბეგში ტრადიციულად მიცვალებულებს მოიხსენიებენ.

„ყაზბეგი ჰესი“

შპს „ყაზბეგი ჰესის“ მიერ, ყაზბეგის რაიონში, მდინარე თერგის მარჯვენა შენაკადზე – ბროლისწყალზე, ჰესის მშენებლობის შესახებ რამდენიმე თვის წინ გახდა ცნობილი. გზმ ანგარიშის მიხედვით, 6 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური დერივაციული ტიპის უნდა ყოფილიყო და „დარიალის ჰესის“ მსგავსად, დერივაციის მონაკვეთში (1 კმ-ზე მეტ მანძილზე) მდინარის წყლის 90%-ის მილსადენში მოქცევას ითვალისწინებდა.

მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას, ს/ს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ყაზბეგი ჰესს“ შორის მემორანდუმი 2012 წლის 13 ივლისს გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად, სამუშაოები 2012 წლის 10 ოქტომბერს დაიწყო და 2013 წლის 16 აგვისტოს უნდა დასრულებულიყო. ინვესტიციის სავარაუდო მოცულობა 3 მილიონი აშშ დოლარს შეადგენდა.

აღნიშნული ჰესის მშენებლობას არასამთავრობო ორგანიზაციები „მწვანე ალტერნატივა“, „სტეფანწმინდა“, „მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრები“, „ნაკრესი“ და სხვა

ორგანიზაციები აპროტესტებდნენ.

ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, კომპანიის მიერ წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უხარისხო იყო და არ წარმოაჩენდა პროექტის გარემოზე შესაძლო ზეგავლენის შედეგებს, როგორც ამას საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს. ასევე, გზმ ანგარიშის ნაწილი კოპირებული იყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების სხვა ანგარიშებიდან.

გარემოსდამცველების შეფასებით, ჰესის აშენება „წითელ წიგნში“ შეტანილ ბუნების ძეგლს - ხდის ხეობას, ასევე მის ფლორას და ფაუნას საფრთხეს შეუქმნიდა და ლანდშაფტის შეუქცევად დეგრადაცია – განადგურებას გამოიწვევდა. „მწვანე ალტერნატივას“ განცხადებით, პროექტი „წითელ ნუსხაში“ შეტანილ წავსა და ტბის კალმახზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენდა, თუმცა ამაზე გზმ ანგარიშში არაფერი იყო ნათქვამი.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ინვესტორს რეკომენდაციითაც მიმართეს, რომ „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობაზე უარი ეთქვა და ხდის ხეობაში არსებული, უფრო ნაკლები სიმძლავრის ჰესი აემუშავებინა, რომელიც ამავე კომპანიის საკუთრებაშია. შპს „ყაზბეგი ჰესმა“ რეკომენდაცია არ გაითვალისწინა. „ყაზბეგი ჰესის“ პარტნიორი კომპანია „ფერის“ ხელმძღვანელმა ლაშა იორდანიშვილმა განაცხადა, რომ გამგეობისგან არსებულ ჰესზე მეტი სიმძლავრის ჰესის მშენებლობის ვალდებულება ჰქონდა ალებული.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ჰესის მშენებლობა დროებით შეჩერდა. გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ „ყაზბეგი ჰესის“ გზმ ანგარიშის საჯარო განხილვა მოაწყო. სამინისტროს წარმომადგენლები ყაზბეგს თავადაც ეწვივნენ.

2013 წლის 28 თებერვალს, გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე, მისი მოადგილე ნინო შარაშიძე, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი და ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატი მირიან წიკლაური, ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით ყაზბეგის მაცხოვრებლებს შეხვდნენ. შეხვედრამდე, ხათუნა გოგალაძემ და ნინო შარაშიძემ მშენებარე ჰესები, ხდის ხეობა და ის ადგილი დაათვალიერეს, სადაც მდინარე ბროლისწყალზე „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობა იგეგმებოდა. ლაშა იორდანიშვილმა განაცხადა, რომ ჰესის მშენებლობის და ოპერირების დროს შემარბილებელ ღონისძიებებს გამოიყენებდნენ, თუმცა გარემოს დაცვის სამინისტრომ, ჰესის მშენებლობაზე ნებართვა არ გასცა.

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ, შპს „ყაზბეგი ჰესის“ მდინარე

ბროლისწყალზე 6 მგვტ სიმძლავრის ყაზბეგი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა, ვინაიდან ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით წარმოდგენილი გზმ ანგარიში ვერ პასუხობდა საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს“, – აღნიშნულია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ, 15 მარტს გავრცელებულ განცხადებაში.

ხელმიუწვდომელი გზა და დღესასწაულზე ჩანიშნული განხილვა

სამინისტროს უარიდან 4 თვეში, შპს „ყაზბეგი ჰესი“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვას ისევ ითხოვს. გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, გზმ ანგარიშის განხილვის თარიღად 29 აგვისტო ჩაინიშნა, დაინტერესებულ პირებს კი შენიშვნების წარდგენა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობასა და შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში 22 აგვისტომდე შეუძლიათ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივაში“ აცხადებენ, რომ გზმ ანგარიში ხელმისაწვდომი არ არის.

„განცხადების გამოქვეყნების დღიდან (9 ივლისიდან) უშედეგოდ ვცდილობთ განსახილველი დოკუმენტის მოპოვებას. როგორც „გამა კონსალტინგში“ განგვიმარტეს, კომპანიას განცხადების გამოქვეყნების დღიდან აქვს ერთკვირიანი ვადა დოკუმენტის ელექტრონული ვერსიის სამინისტროსთვის წარსადგენად და შესაბამისად, საზოგადოებისთვისაც დოკუმენტის ელექტრონული ვერსია მხოლოდ სამინისტროს ვებ-გვერდიდან გახდებოდა ხელმისაწვდომი; თუმცა, როგორც გაირკვა „გამა კონსალტინგში“ არც დოკუმენტის დაბეჭდილი ვერსია მოიპოვებოდა. გზმ ანგარიშის ელექტრონული ვერსიის მოპოვება მხოლოდ გუშინ, შევძელით, „გამა კონსალტინგში“ პირადი კონტაქტების გამოყენებით. ყურადსაღებია, ასევე, რომ ყაზბეგი ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში არ არის წარდგენილი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, განთავსებულია, თუ არა დოკუმენტი დარიალის ხეობაში, მაგრამ გაცხადებაში მითითებულ ორ მისამართზე დოკუმენტის არარსებობის გათვალისწინებით, შენიშვნების წარდგენის ვადად 22 აგვისტოს, ხოლო განხილვის თარიღად 29 აგვისტოს დანიშვნა, კანონის მოთხოვნების უხეში დარღვევაა“, – ნათქვამია „მწვანე ალტერნატივას“ განცხადებაში, რომლითაც ორგანიზაციამ გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიმართა.

„მწვანე ალტერნატივას“ განცხადებით, გზმ ანგარიშის განხილვის თარიღად მიზანმიმართულად, სადღესასწაულო დღეა შერჩეული, რომ მოხევეებმა განხილვაზე

მისვლა ვერ შეძლონ.

„საყოველთაოდ ცნობილია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხევის მაცხოვრებელთათვის რელიგიური დღესასწაული მარიამობა, რომელიც 28 აგვისტოს აღინიშნება; მომდევნო დღე, 29 აგვისტო კი, გარდაცვლილთათვის პატივის მიგების ტრადიციული შეკრებებით აღინიშნება. კომპანია, რომელიც გეგმავს ყაზბეგი ჰესის მშენებლობას ხევში, უკვე არაერთი წელია ოპერირებს ამ რეგიონში და შეუძლებელია, არ იცნობდეს რეგიონის ტრადიციების ამ თავისებურებას. ამდენად, პროექტისადმი ამ დრომდე გამოხატული საზოგადოებრივი კრიტიკის გათვალისწინებით, ჩვენ გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ საჯარო განხილვის 29 აგვისტოს დანიშვნა გამიზნულია იმაზე, რომ საჯარო განხილვაში მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება ნაკლებმა დაინტერესებულმა პირმა. გთხოვთ, აღნიშნულთან დაკავშირებით მიიღოთ შესაბამისი ზომები“, – აღნიშნულია ორგანიზაციის განცხადებაში.

ლაშა იორდანიშვილი – ამ გზში ანგარიშსაც ისევე ცუდად ვიცნობ, როგორც წინას, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან ხარისხიანად დაიწერა დოკუმენტი

„ყაზბეგი ჰესის“ მშენებელი კომპანია „ფერის“ ხელმძღვანელის ლაშა იორდანიშვილის განცხადებით, გზში ანგარიში გარემოს დაცვის სამინისტროს და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას უკვე აქვთ და ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს შეუძლია დოკუმენტი გამოითხოვოს.

„ეს არის ჩვეულებრივი ტყუილი. გარემოს დაცვის სამინისტროს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას უკვე აქვთ აღნიშნული დოკუმენტი ბეჭდური და ელექტრონული სახით. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს გზში ანგარიშს. სამინისტრო ორ–სამ დღეში თავად ატვირთავს ამ დოკუმენტს საკუთარ ვებგვერდზე“, – განუცხადა მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ლაშა იორდანიშვილმა.

მისივე თქმით, ახალი გზში ანგარიში ძალიან ხარისხიანია და გარემოსდამცველების და გარემოს დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით არის შედგენილი.

„სიმართლე გითხრათ, ამ გზში ანგარიშსაც ისევე ცუდად ვიცნობ, როგორც წინა ანგარიშს, თუმცა ვიცი, რომ ძალიან ხარისხიანად დაიწერა დოკუმენტი. ზოოლოგები, გეოლოგები, იხტიოლოგები, ფლორის და ფაუნის სპეციალისტები, ჰიდროლოგები, ყველა იყო ჩართული მის მომზადებაში. გაცილებით მეტი იმუშავეს, იყო საველე გასვლები, ლაბორატორიული კვლევები და ა.შ. დაიდო გაცილებით ხარისხიანი დოკუმენტი, გათვალისწინებულია

გარემოს დაცვის სამინისტროს, მოსახლეობის და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები. ჰესის მშენებლობა გარემოზე უარყოფით გავლენას არავითარ შემთხვევაში არ მოხდენს“, – აღნიშნა ლაშა იორდანიშვილმა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და გარემოს დაცვის სამინისტროში მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, რომ „ყაზბეგი ჰესის“ გზმ ანგარიში მათთან გუშინ შევიდა.

ყაზბეგის გამგებლის შალვა ელოშვილის თქმით, მისი ხელმისაწვდომობა თავად კომპანიამ უნდა უზრუნველყოს.

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ინგა ნიკაგოსიანმა კი განაცხადა, რომ მისთვის უცნობია როდის გამოქვეყნდება დოკუმენტი სამინისტროს ვებგვერდზე.

რაც შეეხება გზმ ანგარიშის განხილვის თარიღს, ინგა ნიკაგოსიანის თქმით, სამინისტრო შეეცდება, რომ მისი განხილვის დღე მოხვედრისთვის მნიშვნელოვან დღესასწაულს არ დაამთხვიოს.

ამ თემაზე:

[რეპორტაჟი ყაზბეგიდან – მოხვედრის პროტესტი](#)

[შოთა ბუჩუკური – „პრემიერმა პირად კონტროლზე აიყვანოს ყაზბეგში ჰესების მშენებლობის საკითხი“](#)

[ვინ ემხრობა და ვინ აპროტესტებს ხდის ხეობაში „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობას](#)

[რატომ გაიცა ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობაზე უარყოფითი დასკვნა](#)